

**მცირე მოხსენება დიდს საკითხზე  
(1890 წელი, გაზეთი „ივერია“)**

იმ საგანთა შორის, რომელნიც საზოგადო კრებამ სათავადაზნაურო ბანკისამ უნდა განიხილოს, არის ერთი ფრიად საყურადღებო საგანი. ეს გახლავთ დანიშვნა სამუდამო შემწეობისა ჩვენი ერთად-ერთი სამეურნეო სკოლისათვის, რომელიც დაარსებულია წინამძღვრიანთ-კარში და რომელიც ნაყოფია განათლების სიყვარულისა, მხნეობისა და თავ გამოდებისა ბატონ ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილისა. მე მურს რამდენიმე სიტყვა მოვახსენო საზოგადო კრების წევრთა ამ მეტად მიმზიდველს, ფრიად სიმპატიურს საგანზედ.

ბანკის წესდების მოთხოვნისგან, წმინდა მოგება უნდა იხარჯებოდეს სასარგებლოდ მემამულეთა და მხვნელ-მთესველთა ( в пользу землевладельческих и земледельческих сословий). ვიკითხოთ: რა უფრო უჭირს ამ ორსავე წოდებასა და რა უფრო სასარგებლოა მათთვის? რასაკვირველია, იმისთანა ცოდნა, რომელიც ასწავლის მათ შვილთა გონივრულს, მეცნიერულს შემუშავებას მამულისას, წინ წასწევს მხვნელ-მთესველობას, მამულის შემოსავალს გააძლიერებს და მეტს დოვლათს მისცემს როგორც მიწა-წყლის მეპატრონეთა, ისე მხვნელ-მთესველთა. ამისთანა ცოდნის მოფენას ემსახურება წინამძღვრიანთ-კარის სკოლა და როგორ ემსახურება? სწორედ სამაგალითოდ. ამას ერთ ხმით ღაღადებენ შინაურნი და გარეულნი, მტერნი და მოყვარენი, ჩვენნი და უცხონი. ეს სკოლა უმზადებს ორივე წოდებას შეგნებულს, განვითარებულს მეურნეთა, რომელთა ჭაჭანება აქამდის არ იყო ჩვენში და რის გამოისობით ჩვენი ქვეყანა ასე უკან არის ჩამორჩენილი მხვნელ-მთესველობის საქმეში. მე ვამბობ „ორივე წოდებასა-მეთქი“, და რომ ეს სიტყვები ნამდვილი ჭეშმარიტების გამომხატველი არის, აშკარად სჩანს სკოლის მოწაფეთა სიიდეგან. ორმოც-და-ხუთ მოწაფეთა შორის 15 თავადი და აზნაურიშვილია და დანარჩენი გლეხები. მაშასადამე, წინამძღვრიანთ-კარის სკოლა არის სკოლა მემამულეთა და მხვნელ-მთესველთა შვილებისათვის. თუ იმას იფიქრებთ ამ რიცხვის მიხედვით, რომ სკოლა უფრო გლეხებისაა, ვიდრე თავადაზნაურობისაო, მოტყუებული იქნებით. თუმცა გლეხთა შვილები უფრო ბლომად შედიან სკოლაში, გარნა ექვსის წლის განმავლობაში სწავლას და კურსის დამთავრებას ახერხებენ თითქმის მარტო კეთილშობილის წოდების ყმაწვილები. ამას ემოწმება ის ფაქტი, რომ შარშან კურსი შეასრულეს მხოლოდ თავადებმა და აზნაურებმა, მხოლოდ ისინი წავიდნენ ყირიმში სამეურნეო სკოლის დასამთავრებლად, მშვენივრად დაიჭირეს ეგზამენი, წარმატებით სწავლობენ და ორის წლის შემდეგ დაბრუნდებიან სამშობლოში, რათა მის მეურნეობის წინ წაწევას დაეხმარნენ.

პირდაპირი სარგებლობის გარდა, წინამძღვრიანთ-კარის სკოლას მოაქვს კიდევ ერთი ფრიად უდიდესი სიკეთე, რომელიც ბევრით აღემატება პირდაპირ მისს სარგებლობას. საქმე ის გახლავთ, რომ ეს სკოლა როდია მარტო სასიხარულო მოვლენა, ფაქტი, ღირსი სრულის თანაგრძნობისა და უხვის შემწეობისა. იგი ამავე დროს არის განხორციელებული პრინციპი ჭეშმარიტის განათლებისა, იმისთანა პრინციპი, რომლის გარეშე ერის ფეხზედ წამოყენება და მისი წარმატება ყოვლად-შეუძლებელია. სადაც-კი ჭეშმარიტის განათლების ლამპარი დანთებულა, დედა-ბოძად მას ჰქონია და აქვს დედა-ენა, სწავლება დედა-ენაზედ, როგორც საუკეთესო ღონე გონების განვითარებისა და ცოდნის შეძენისა, ღონე ბუნებისაგან და ღვთისაგან

მინიჭებული და დალოცვილი. რომელს ქვეყანაშიაც კი გადუხვევიათ ამ გზისათვის, იქ გონების გახსნის მაგიერ მისი დახშობა მიუღიათ, განათლების მაგიერ - დაბნელება და ზნეობის გაწმენდის და ამაღლების მაგიერ - მისი დაცემა.

ჩვენში მხოლოდ წინამძღვრიანთ-კარის სკოლა ადგია მტკიცედ და შეურყევლად ამ დალოცვილსა და ჭეშმარიტს გზას განათლებისას; მარტო იგი ასრულებს ძირითად მცნებას პედაგოგიისას, მხოლოდ მას უპყრია ხელში დროშა გონებრივი წმინდა სინათლისა, მარტო იგია მოშორებული კომლსა და ხრჩოლვას, რომელიც მეტ-ნაკლებობით ტრიალებს ყველა სხვა სასწავლებლებში და სულს უხუთავს მოზარდ თაობას, ფრთას უკვეცავს გონებასა და მისწრაფებას. საკუთარის წესდების ძალით, რომელიც დამტკიცებულია მთავრობისაგან, წინამძღვრიანთ-კარის სკოლაში სწავლება ყველა საგნებისა და მთელის ექვსი წლის განმავლობაში მიდის და სწარმოობს დედა-ენაზედ, და სწორედ ეს გახლავთ ძირითადი მიზეზი სკოლის იმ აყვავებისა, რომელსაც ყველანი აღტაცებაში მოჰყავს... ყველა, ვინც-კი წინააღმდეგია ამ განმაცხოვებელის პრონციპისა, დღეის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია ჩავაჩუმოთ, პირში ჩალა გამოვავლოთ წინამძღვრიანთ-კარის სკოლაზედ მითითებითა. „მოდით, ნახეთ, დარწმუნდით და ღობე-ყორეს, ღრენას თავი დაანებეთ“, შეგიძლიათ უთხრათ უკუღმართ პირთა.

ეს იმისთანა დიდს ღვაწლს შეადგენს, რომლის მნიშვნელობის გაზვიადება ყოვლად შეუძლებელია, მეტადრე ეხლანდელს ჩვენს მდგომარეობაში. ეს უდიდესი სამსახურია ერის აწმდგომისა და მომავლისა. ამ ღვაწლის მნიშვნელობა ყველას ესმის; ზოგს ინსტინქტით, ალლოთი, ზოგს გამორკვეულის აზრით. კიდევ ამითი აიხსნება ის მხურვალე თანაგრძნობა, რომელსაც უცხადებენ წინამძღვრიანთ-კარის სკოლას და არა მარტო ქართველნი, არამედ სომეხნიც, რუსნიც, თათრებიც და ყველა კავკასიის მცხოვრებნი, და რომელიც ავიდა იმ ხარისხამდე, რომ ხელმოკლე მწერალნი და ლაქიებიც-კი თავისთავს ლუკმა პურს აკლებენ და შემწეობას აწოდებენ ამ სკოლას თავისი ღარიბი ჯიბიდან.

სხვებთან ერთად ჩვენ ვგონებთ, რომ წინამძღვრიანთ-კარის სკოლა სახელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს თვით ქართულ თავად-აზნაურობისათვის... ერთი ქართველი ღარიბი აზნაურიშვილი, დატვირთული რთულის სამსახურით, ხსნის და სამაგალითოდ აწარმოვებს სამეურნეო სკოლას და რის მეოხებით? მხოლოდ საკუთარი მხნეობისა და თავგამოდების მეოხებით. ნუ თუ ეს მაგალითი ბრწყინვალე საბუთი არ არის იმისი, რომ ჩვენს კეთილშობილს წოდებას არ დაუკარგავს მამა-პაპური ძალა და გამჭრიახობა და შეუძლიან იმავე სიმარჯვითა და სიქველით მოიხმაროს გონებრივი იარაღი სამშობლოს სიბნელის გასაფანტად, რა სიმარჯვითაც ხმარობდნენ მისნი წინაპარნი თოფ-იარაღს სამშობლოს ქვეყნის მტრის შესამუსრად.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ბანკის საზოგადო კრება ერთხმით გადასდებს წინამძღვრიანთ-კარის სკოლის შესაწევრად იმ ოთხას-ხუთასს თუმანს, რომელიც წელიწადში საჭიროა ამ სკოლის არსებობისა და წარმატებისთვის.

**ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა:** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა, ანა რუხიაშვილმა.

**3 აპრილი, 2020 წელი. #დარჩისახლში**